საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3209/01
31/03/2022

3209-01-2-202203311639

შპს „კახისს“

მის: ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფ. დვირი
ელ.ფოსტა: temo1temo1958@mail.ru

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2022 წლის 11 მარტის №5195 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩითახევში, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- შპს „კახისის“ ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს განთავსება დაგეგმილია თეიმურაზ სამსონაშვილის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 64.24.01.845). აღნიშნულიდან გამომდინარე, სკრინინგის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგნიდება, რომ საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 80 მეტრის დაშორებით მდებარეობს კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ: 64.24.01.535), რომელზეც განთავსებულია ტექნოლოგიური დანადგარები. შესაბამისად, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს აღნიშნული ობიექტისა და მისი ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაციას, ასევე, შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების შეფასების შესახებ ინფორმაციას;
- დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით მომარაგების და საბოლოო პროდუქციის ტრანსპორტირების (მისასვლელი გზები, შესასრულებელი სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა და გამოყენებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები) შესახებ;
- დაზუსტებას საჭიროებს წყალაღებისათვის გათვალისწინებული ტუმბოს წარმადობა და აღებული წყლის სამსხვრევ დანადგარამდე მიყვანისათვის გათვალისწინებული პოლიეთილენის მილის პარამეტრები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს

მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე